საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge

N 1056/03 **7 თებერვალი 2023 წ.**

სასაქონლო ნიშანზე სამართლებრივი ექსპერტიზის მიერ ხარვეზის დადგენა

შპს უნიმედ გრუპ კორპის მფლობელს,
ბატონ თორნიკე ობოლაშვილს
მის.: ადამ მიცკევიჩის ქ. N29, ბინა N61,
0194, თბილისი, საქართველო

ბატონო თორნიკე,

თქვენი 2023 წლის 26 იანვრის №R 1483-3/2023 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ სასაქონლო ნიშნის „პროსტა-ზი Prosta-zi Проста-зи“ (რეგ. №22809) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელებას შემდგომი 10 წლით, გაცნობებთ, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე‘‘.

ვინაიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიის 2021 წლის 14 დეკემბრის №B21122782 ამონაწერის თანახმად, სასაქონლო ნიშნის „პროსტა-ზი Prosta-zi Проста-зи“ (რეგ. №22809) მფლობელი კომპანიის შპს „უნიმედ გრუპ კორპის“ (ს/კ 404966186), ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად, დირექტორად რეგისტრირებულია იორდანე ბალახაშვილი, (პ/ნ 03001021673), თქვენ არ ხართ უფლებამოსილი მოითხოვოთ სასაქონლო ნიშნის „პროსტა-ზი Prosta-zi Проста-зи“ (რეგ. №22809) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელება შემდგომი 10 წლით.

დამატებით გაცნობებთ, რომ სასაქონლო ნიშნის „პროსტა-ზი Prosta-zi Проста-зи“ (რეგ. №22809) რეგისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, 2023 წლის 26 იანვრის №R 1483-3/2023 განცხადებაზე დატანილია შპს „ონიქსკორპის“ (ს/კ 412726279) ბეჭედი.

ზემოაღნიშნულიდან და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 83-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ ერთი თვის ვადაში წარმოადგინოთ, უფლებამოსილი

პირის მიერ გაცემული, სათანადო წესით შედგენილი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

პატივისცემით,

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული
აღნიშვნებისა და დიზაინის
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

მარიამ კეპულაძე